ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 212
ოქტომბრის 6, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 212
ოქტომბრის 6, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ერევნის მოედანი, № 3.

ფოტოგრაფია ა. ს. როინაშვილისა

(საკუთრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა)

დასაჩუქრებული უმაღლესის ჯილდოებით.

ფოტოგრაფიას მოეპოვება მრავალგვარი კოლექცია კავკასიურ ტიპებისა და ბუნების სურათებისა, აგრეთვე ახლად გადაღებული სურათები **საქართველოს არქეოლოგიურ ნაშთებისა.**

ფოტოგრაფია ჰკისრულობს ყოველგვარს სამუშაოს იაფ ფასად: სურათების გადაღებას და უკვე გადაღებულის სურათების გადიდებას.

ფოტოგრაფიაში იყიდება ახალი სურათი **შოთა რუსთაველისა**, გადმოღებული მხატვრის ბუროვის სურათიდან, და აგრეთვე სურათები ჩვენის მწერლებისა და არტისტებისა.

(3—მ—1)

საწყობი ქაღალდის
დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი. 1882 წ

ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—16)

ტფილისის მოურავის
თანამდებობის აღმასრულებელი

ამით აცხადებს ბბ-ნთ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, რომ 6 ოკდომბერს 1902 წელს, კვირას, დილის 10 საათზედ დანიშნულია

დამატებითი არჩევნები

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ოთხის წლის ვადით (1902—1906 წწ.) **პირველ საარჩევნო უბნისათვის** კიდევ სამის ხმოსნის და არა ნაკლებ ხუთის კანდიდატის ამოსარჩევად.

დამატებითი არჩევნები მოხდება საბჭოს დარბაზში. შესავალი ველიამინოვის ქუჩიდგან. ამომრჩეველთ კეთილ-ინებონ და იქონიონ თან შესასვლელი ბილეთები, რომელიც მიცემული ჰქონდათ ამ წლის სეკდემბრის საარჩევანო კრებაზედ შესასვლელად. იმათ-კი, რომელთაც ასეთი შესასვლელი ბილეთები არ აუღიათ, ნება აქვთ მიიღონ გამგეობის კანცელარიაში 6 ოკდომბრამდე და თვით 6 ოკდომბერსაც. არჩევნების დღეს დაედგმით ყუთი ყველა იმათ, ვინც გამოაცხადეს თვისი თანხმობა კენჭის ყრაზედ პირველ საარჩევნო უბანში. იმათ-კი, ვისაც კენჭი არ უყრია, კეთილ-ინებონ და წერილით აუწყონ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს, უკეთუ სურთ კენჭი იყარონ ხმოსნობაზედ.

(3—6.—3)

მოსკოვი 1893

ს.-პეტერბურგი 1870

ნ.-ნოვგოროდი 1897

სავაჭრო სახლი
დონენრისა და ლეიტცისა

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.

ჟირარდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.

საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად

ტილოსი, ბამბისა და წინდა-ჩულქის საქონელი.

ავეჯის გადასაკვრელი მატერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები

საბნები მატყლისა და აბრეშუმისა.

საცვლები ქალისა და კაცისა

მზითევი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებით პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

№ 3. ტელეფონი 617

დილის წარმოდგენა

ქართული თეატრი

პირველი **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა

კვირას, 3 ოკდომბერს, 1902 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

შუადღის 12 საათზედ

ძლიერ **დაკლებულის** ფასებით

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. და 6 სურ. დენიერისა თარგმ. ავ. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნათელი, რონელი, როსტომიანი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ლანდი, ქლენტი, მოურავიშვილი, იორდანაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 3 მანეთიდან 5 მან.-დე, პარტერი 40 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 50 კ.-დგან 1 მ.-დე, გალერეია 20 კ.-გან 35 კ.-მდე. შეგირდებისათვის ადგილები პარტერში 40 კაპ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ბრჭყალები“, „მუშაკი და ნებიერი“, „უბედური ნაბიჯი“.

თეატრის გამგეობა სთხოვს მაყურებელთ წარმოდგენის დროს მსახიობთ ნუ გამოუძახებენ ხოლმე თავის დასაკვრელად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, კვირას, 6-ს ოკდომბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

ლაკმე

ოპერა 3 მოქმედებად, მუსიკა ლეო-დელიბისა.

მონაწალეობას მიიღებენ ქ-ნნი ვან-დერბრანდტი, არციბაშევისა, პეტროვისა, დობროჟანსკისა, ბაუერი; ბ-ნნი ლენსკი, სვინცოვი, ჩემეზოვი, კაზიმირო, პეტროვი, ხარიდონი და სხვ.

ბალეტს დასდგამს ბალეტმეისტერი **მენაბენი.**

კაპელმეისტერი ლ. პ. **შტეინბერგი.** ხორმეისტერი ა. გ. **ზვერჟანსკი.** ადმინისტრატორი მ. **დურანდინი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, ორშაბათს 7 ოკდომბერს წარმოდგენილი იქნება ოპერა **კარმენ. დონ-ხოზეს** როლს შეასრულებს ა. პ. **ბონაჩიჩი.**

გამგებელი სახელოვნობო მოკაზმულობისა **ივ. ფითოევი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ნ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან; ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს‘‘, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისი

◆ გუშინწინ ბათუმიდან ტფილისში ჩამობრძანდა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ერმოლოვი; მინისტრს თან ახლდა კავკასიაში თვისი რწმუნებული. მინისტრს რკინის გზის სადგურზედ დაუხვდნენ მიწათ მოქმედების სამინისტროს უწყებათა მოხელენი, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა უფროსნი, გუბერნატორი, ტფილისის კომენდანტი, პოლიცმეისტერი და მრავალი ხალხი. მინისტრი რკინის გზის სადგურიდგან გაემგზავრა კავკასიის მთავარ-მართებლის სასახლეში, სადაც მათთვის დამზადებული იყო ბინა.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გუშინ მილოცვის დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგის ფინანსთა მინისტრის თანაშემწეს ვ. ი. კოვალევსკის, რომელსაც ათი წელიწადი შესრულდა სამინისტროში მოღვაწეობისა.

◆ როგორც ჩვენ შევიტყეთ, გუშინ, 5 ოკდომბერს ტფილისიდგან გაუგზავნიათ პარიჟში ემილ ზოლას მეუღლისათვის სამძიმრის დეპეშა.

◆ ქალაქის ხორცის დუქნებიდგან 3 ოკდომბერს ქალაქის კასაში შემოსულა 852 მ. 22 კაპ.

◆ ქალაქის გამგეობამ მიიღო ქაღალდი პოლტავის ქალაქის თავისგან, რომელიც ითხოვს შეატყობინონ დაწვრილებით ხორცის დუქნების მოწყობის საქმე, საქონლის ყიდვა მისი შენახვა და ფასი, როგორ იყიდება საქონელი და ვისგან ჰყიდულობს გამგეობა.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიჰმართა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას და სთხოვა, რადგანაც საზოგადოება შეუდგა უმაღლესად დამტკიცებულ ბზოვის პროგრამის განხილვას და ბევრჯელ შეხვდება ხოლმე იმისთანა საგნები, რომელიც უფრო სამკურნალო საზოგადოების საქმეა, ამიტომ ვთხოვთ შეელასო; საზოგადოებამ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად სამკურნალო საქმის უკეთ მოწყობას, ამიტომ სამეურნეო საზოგადოება სთხოვს სამკურნალო საზოგადოებას შეეატყობინოს ამ საგანზედ თავისი მოსაზრება, ან როგორ უნდა მოეწყოს სოფლად მკურნალობა, რა ღონისძიებაა უფრო საჭირო და რა სარგებლობას მოუტანს ყოველსავე სოფლად მცხოვრებლებს. ამასთანავე ამ რამდენისამე წლის წინად ტფილისში მოხდა ექიმების კრება, რომელზედაც ექიმმა ნაზაროვმა წაიკითხა მოხსენება ხალხის ექიმობის შესახებაო. თუ შესაძლებელათ დაინახავს ექიმთა საზოგადოება, ვთხოვთ თავიანთ დასკვნასთან ეს მოხსენებაც გვითხოვოს მის შინაარსის გასაცნობათაო.

◆ გუშინ-წინ ქალაქის გამგეობაში მოხდა კრება მცირე კომისიის წევრთა, რომელთაც დავალებული აქვს ქალაქის ქუჩების და მოედნების ახალის სისტემით მოკირწყვლა; კომისიამ განიხილა რა ეს საგანი, გამოიკვლია რა დაუჯდება ერთის ოთხ-კუთხის საჟენის მოკირწყვლა რიყის ქვითა იჯარით რომ გასცეს; კომისიამ გამოარკვია აგრეთვე, რომ მას აქვს ოთხკუთხიანი დასუფენი ქვა, რომლითაც რვა ათასი ოთხკუთხი საჟენი მოიკირწყლება, ამ სივრცის ქუჩების რიყის ქვით დაგება დაუჯდებოდა 20 ათას მანეთად.

◆ გუშინწინ ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ ნემეცებს სასაფლაოსთვის ქალაქმა დაუთმოს ადგილიო; გამგეობამ განიხილა-რა ეს წინადადება დაადგინა: 1) დაევალოს ქალაქის სამშენებლო განყოფილებას, რომ მან ორის კვირის განმომავლობაში დაამზადოს გეგმა ნემეცების სასაფლაოსი; 2) შეატყობინოს პეტერბურგის ქალაქის გამგეობას, რა წესებია შემოღებული ქალაქიდგან ვოლკოვის სასაფლაოზედ მიცვალებულების გადატანისა რკინის გზით; 3) ეუწყოს ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციას, რომ ნემეცების სასაფლაოს დროებით დაეთმო სამარხი ადგილი ნავთლუღში, სადგურს ახლოს და 4) ამ საგანზედ გამგეობამ იქონიოს დაბოლოვებითი მსჯელობა მაშინ, როცა გამგეობა მიიღებს ყოველს ცნობას და ამ მსჯელობაზედ მოიწვიოს გამგეობამ მცოდნე კაცნიცაო.

◆ რადგანაც პირველის კლასიკურ გიმნაზიის ზოგიერთი კლასები ამ ჟამად გავსია შეგირდებით, ამიტომ პირველ გიმნაზიის მთავრობას განუზრახავს გოლოვინის პროსპექტზედ დაიქირაოს ქ-ნ მირზოევის სახლი, სადაც იგი აპირობს პარალელი კლასების გამართვას.

◆ დღეს გავიდა ვადა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების უკანონოდ ცნობისა; ყველა ამომრჩეველს დღევანდლამდის ნება ჰქონდა გამოეცხადებინა თავისი უკმაყოფილება და მიერთმია გუბერნატორისათვის ქაღალდი არჩევნების უკანონობის შესახებ, თუ-კი რამ უკანონობა ჰქონდა შემჩნეული. დღევანდლამდის, რამდენადაც ვიცით, ამისთანა უკმაყოფილება არავის განუცხადებია.

◆ რადგანაც ქალაქის წყლის კომისსიამ განიზრახა კონტროლი დააწეროს წყლის მილებზედ, ამიტომ ამავე კომისიას განზრახვა აქვს დასდგას წყლის საკონტროლო მანქანა ამ დაწესებულებათა წყლის მილებზედაც, რომელთაც უფასოდ ეძლევა ქალაქის გამგეობისგან წყალი.

◆ დღეს ქართულ თეატრში ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ხუთ მოქმედებიანი მელოდრამა „ორი ობოლი“, გადმოკეთებული ავ. ცაგარლის მიერ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ დასის საუკეთესო არტისტები. ადგილების ფასი ამ წარმოდგენაზედ შესამჩნევად დაკლე-

ბულია და, იმედია, საზოგადოება ბლომად დაესწრება. წარმოდგენა დაიწყება შუადღისას, თორმეტ საათზედ.

◆ გუშინ-წინ ქალაქის გამგეობის სადგომში შეიყარნენ 19 სასტუმროს პატრონი, რომელთაც გაანაწილეს ქალაქის სასარგებლოდ გადასახადი სასტუმროს პატრონთა შორის. გასანაწილებელი იყო 7,254 მან.

◆ ქალაქის გამგეობამ გუშინწინ დაადგინა: დაავალოს ქალაქის ვექილს, რომ მან დააგიროს კონსულის ქუჩაზედ ქალაქის სახლი საკრედიტო საზოგადოებაში 70,000 მანეთად.

◆ უკანასკნელ კრებაზედ ქალაქის გამგეობამ განიხილა საქმე საინჟინერო უწყებისაგან მამულების დაჩემების შესახებ ავლაბარში, სადაც იგი ამ ჟამად სურსათის საწყობ შენობას აგებს. გამგეობამ გარდასწყვიტა, მიენდოს ეს საქმე ქალაქის ვექილს და დაევალოს წარმოუდგინოს გამგეობას თავისი მოსაზრება, იმის შესახებ, თუ რამდენადა აქვს ქალაქს იურიდიული უფლება, რომ დავა გამოუცხადოს საინჟენერო უწყებასაო.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიჰმართა ტფილისის იურიდიულ საზოგადოებას და სთხოვა, გვაცნობეთ, რამდენად სასარგებლო იქნება სასამართლოების მოწყობა სოფლად, რა საშუალებით მოგვარდეს სასამართლოების საქმე და რამდენათ შეუფერებელია ეხლანდელი სასამართლოები სოფელში მცხოვრებთათვის.

◆ ტფილისის გამგეობის უკანასკნელ კრებაზედ, გამგეობის წევრმა კოკჩაევმა აუწყა გამგეობას, რომ მასწავლებელთა კომისიამ ქალაქის სახელოსნო სკოლისთვის დირექტორად მოიწვია ბ-ნი პობედონოვი, მხოლოდ ეხლა უნდა წარედგინოს უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლადაო. კრებაზედ ქალაქის მოურავის თანამდ. აღმასრულებელმა შესტაკოვმა ჩამოაგდო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ ვისი მოვალეობაა იშუამდგომლოს მაგ საქმისათვის მთავრობის წინაშეო. გამგეობამ განიხილა რა შესტაკოვის მიერ აღძრული საგანი, გამოარკვია, რომ ეს საქმე უნდა იკისროს ქალაქის მოურავმაო.

◆ ორშაბათს, 7 ოკდომბერს გამგეობის სადგომში დანიშნულია კრება იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს გამგეობის 1901 წლის ანგარიშის გადათვალიერება.

◆ ამავ დღეს გამგეობის შენობაში დანიშნულია კრება საფინანსო კომისიისა ქ. ტფილისის 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ 6 ოკდომბერს ტფილისის სატეხნიკო სასწავლებელში დანიშნულია წლიური აქტი.

◆ გუშინ საღამოს 10 საათზედ ბაქოდან რკინის გზით გამოემგზავრა ტფილისისკენ გზათა მინისტრი თ. ხილკოვი, რომელსაც მოელიან დღეს 1 ს. და 32 წამზედ.

◆ გუშინ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, დაათვალიერარა საბოტანიკო ბაღი, საიდგანაც იგი გაემგზავრება პეტერბურგს, სადაც იგი იუქმებს 35 წლის სახელმწიფო ასპარეზზე მოღვაწეობის დღეს.

◆ ამ ჟამად ქალაქის გამგეობას ბევრი იჯარადარი აძლევს თხოვნას და სთხოვს სამუშაოს იმ პირობით, რომ სამუშაოს ფულს მერმის მივიღებთო. ქალაქის გამგეობა წელს ყველას უარს ეუბნება იმ მიზეზით, რომ სამუშაოსთვის გადადებული თანხა მთლად დახარჯულიაო.

◆ დავით გაბრ. ძე მირზოევმა მიართვა ქალაქის გამგეობას და სთხოვს გამგეობამ განკარგულება მოახდინოს და მიიღოს მისგან ქალაქის ხორცის დუქნების გამგეს ალიხანოვის მიერ ნაყიდი თივა; თუ გამგეობა არ იკისრებს თივის მიღებას, ის ყველა ბრალს იერის, თუ რამ შემთხვევა მოხდა; ამასთანავე მირზოევი ითხოვს იმ ფულსაც, რაც მას ეკუთვნის ამ ნაყიდ თივაში.

◆ სეკდემბრის განმავლობაში ქალაქის საყასბოში მიურეკნიათ დასახოცად: მსხვილფეხი საქონელი 6054 სული, ხბო 453 სული, ღორი 264, ცხვარი დაკლულა 18938 სული და ცხენი 1; ამ მორეკილ საქონლიდგან არ გაუშვეს დასაკლავად 5 ხარი და 1 ძროხა, რომელიც ჭირით ავადმყოფნი აღმოჩნდნენ; 1 ძროხა, როგორც ავადმყოფი ციმბირის ქარით; არ დაიკლა აგრეთვე 11 ძროხა და 16 ხარი, როგორც არა ნორმალური სისადისანი. ყველა ეს ცნობანი, თანახმად შინა საქმეთა მინისტრის განკარგულებისა, ქალაქის გამგეობისაგან გაიგზავნება შინა საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ უმთავრეს საბეითალო სამმართველოში.

◆ 3 ოკდომბერს თავის მეიდანზედ ტკვრის პირას მივიდა ერთი ვიღაც უცნობი, იშვირა ფეხი და გადავარდა მტკვარში, რომელმაც ჩაითრია ავლაბრის ხიდს ქვეშ და დაახრჩო.

◆ შორაპნის მაზრის აზნაურიშვილმა კიკნაძემ ჩხუბის დროს რუბენ გრიგორიანცს დასცა ჯიბის დანა ფერდში და გულში სამს ალაგას მძიმედ დასჭრა.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელს ნომერში (№ 211), წერილში „ქართული ენა“, გასასწორებელია შემდეგი კორექტურის შეცდომები 4 გვერდის 1-ლს სვეტზე:

58 სტ. დაბეჭდილია გაკუვირვება, უნდა იყვეს გაკვირვება.

71 სტ. ორჯერ არის დაბეჭდილი სიტყვა ქმრივი, უნდა ერთხელ.

78 სტ. გამოტოვებულია სიტყვა მზგავსი, რომელიც უნდა მისდევდეს სიტყვას მსგავსი.

88 სტ. დაბეჭდილია შვილდი. უნდა იყვეს შვიდი.

ჩვენებური ამბები

აბაშა (სენაკის მაზრა). ყველგან ისმის ფაცი-ფუცი, რაღაცას ეწევიან, რაღაცას აკეთებენ, აბაშაშიაც ისმის ფაცი-ფუცი, გარნა უსარგებლო. აქ შეილაპარაკეს, მოაგროვეს ფული და დაარსეს სამკითხველო-ბიბლიოთეკა. მერე შეიქნა გამგეთა და წევრთა შორის არევ-დარევა და აბაშას მოაკლდა სამკითხველო. აგეთივე ამბავი დაემართა სამარხ კასას. პასუხი უნდა მოეთხოვოს სამკითხველოს გამგეებს, მაგრამ ისინი არასოდეს არ გვიპასუხებენ, მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმეჯერ დაეკითხნენ სიტყვიერადაც და ქართულის გაზეთების საშუალებითაც. რაც შეეხება წარმოდგენებს, ეს ხომ სიზმრადაც არ უნახავს აბაშას.

ალ.

—

სამტრედია. აქაურს ორკლასიანის სამინისტრო სასწავლებლის დარბაზში 26-ს სეკდემბერს ბ-ნი ნიკო მკურნალის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი სხდომა რუსეთის სამეურნეო საზოგადოების ფრინველთა მომშენებლის განყოფილების დამაარსებელთა. სხდომას დაესწრნენ სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი კ. მაჭავარიანი, კულაშის და სამტრედიის სასწავლებელთა ზედამხედველ-მასწავლებელნი, რკინის გზის სადგურის უფროსი ბ-ნი ბაქრაძე, დაბის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი ს. იაშვილი და სხვა საპატიო პირნიც. ბ-ნმა მკურნალმა აუხსნა დამაარსებლებს მნიშვნელობა განყოფილებისა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას, რა უფლება ექმნებათ დამაარსებლებს, ან თუ როგორ უნდა იმოქმედონ. მან წაუკითხა ყველას წესდება რუსულადა და ქართულადაც. შემდეგ შეუდგნენ განყოფილების მოხელეთა არჩევას. თავმჯდომარეობა სთხოვეს ბ-ნ მკურნალს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში სსახურებს, მიიღო საზოგადოების თხოვნა და დათანხმდა; შემდეგ არჩეულ იქმნენ მისი ამხანაგი, საპატიო წევრნი და მდივანი. ბ-ნმა მკურნალმა აღუთქვა დამაარსებლებს, რომ ინსპექტორის დახმარებით იშუამდგომლებს მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს განყოფილებას ყოველ წლივ დახმარება. ვუსურვებთ ახლად დაბადებულ განყოფილებას მხნედ მუშაობას, რათა განეხორციელებინოს და გაემართლებინოს თავისი დანიშნულება.

ვლადო ბზვანელი.

—

საქარა (შორაპნის მაზრა). წელს ოც-დაათი წელი შესრულდა, რაც ამ სოფელში არსებობს ეგრედ-წოდებული „დაბლა-საქარის“ სამრევლო საეკკლესიო სკოლა. ეს გარემოება მაძლევს შემთხვევას, ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ სკოლისა და მისი მასწავლებლის შესახებ. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სკოლა საუკეთესოდ და სასიქადულოდ ემსახურებოდა თავისს წმიდა დანიშნულებას.

ეს სკოლა ერთი საუკეთესოთაგანია მთელს იმერეთის ეპარქიაში, რაიცა ნათლად სჩანს მისი ყოველწლიური ანგარიშებიდგან და, რაც დრო გადის, უფრო და უფრო წარმატებაში შედის. თუმცა ეს სკოლა ერთ-კლასიანი პირველ-დაწყებითია, მაგრამ აქედგან მის მოწაფეს ბევრი რამ სასარგებლო ცოდნა გამოაქვს. ვინ არ იცის, თუ რა ღარიბია ჩვენში სკოლა და მისი მასწავლებელი, მაგრამ ხსენებულის სკოლის მასწავლებელი, რომელიც სრულის პატიოსნების წყაროდ და სასიქადულო შრომის მაგალითად გადაქცეულა, არავითარ მეცადინეობას არ აკლებს,—ყოველ გზის გააუმჯობესოს და რაც შეიძლება წინ წასწიოს გონებრივად და ნივთიერად მისდა რწმუნებული სკოლა. იგი სულ იმის ცდაში იყო და არის, რაც შეიძლება ბევრი გამოსადეგი ცნობები მიეწოდებინა თავის მოწაფეთათვის იმას ღრმად სწამდა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო შეგირდთათვის მეურნეობის ცოტათი მაინც შესწავლას და რადგან თითონ არ იცოდა, სთხოვა მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგთა მცოდნეს, გრიგოლ ს. მხეიძეს, რათა უკანასკნელს გაეზიარებია მის მოწაფეთათვის ცოტა რამ მეურნეობისა რაიცა ბ-ნმა მხეიძემ აუსრულა და უსასყიდლოდ ასწავლიდა რამდენსამე წელს. ერთის სიტყვით, ამ მასწავლებელმა ფრიად დიდი სამსახური გაუწია მასთან მოსწავლე ახალგაზდობას და მთლად თავის სოფელს. არიან აქ ისეთი პატიოსანნი პირნი, რომელთაც შეუგნიათ დიდი მნიშვნელობა ამ სკოლისა თავის სოფლისთვის და მადლობის ნიშნად სხვა-და-სხვა დახმარება აღმოუჩენიათ მისთვის. ერთმა დიდად პატივცემულმა პირმა აზ. ს. ტ—ძე გველესიანმა თავისი ხარჯით აუშენა ამ სკოლას ახალი შენობა (ხის მშვენიერი სამ-ოთახიანი სახლი, ღირებული 2,000 მან.). კარგი იქნება, რომ სხვა მემამულეებმაც წაბაძონ ბ-ნ გველესიანის მაგალითს და გამოუცვლიდნენ თავის სკოლებს პატარა-კოტნოტიო შენობებს, სადაც დღეს იმყოფება უმრავლესობა ჩვენებური სკოლებისა.

ყველა ამის შემდეგ არ შეიძლება არ ვკითხოთ ბ-ნო მკითხველო: „ვინ არის ამ სკოლის მასწავლებელი, ეს პატიოსანი ქვეყნის მუშაო?“—ეს გახლავთ ბ-ნი იოსებ ნიკოლოზის ძე ბარბაქაძე და მღ. ფილიმონ ბარბაქაძე, რომელსაც არა ნაკლები ღვაწლი და შრომა მიუძღვის ამ სკოლის წინაშე და რომელიც ერთგულად ემსახურებოდა თავის დანიშნულებას.

არგვეთელი.

—

ქუთაისი. ქუთათურების სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდამ“ აბრეშუმის პარკის აპერაციები უკვე დაამთავრა ამ დღეებში. ახლა იგი ბამბის ყიდვის საქმეს შეუდგა და ამ მიზნით ცალკე ქარხანა გააწყო ბალახვანის ქუჩის თავში, ი. მხეიძის ადგილში, საურთიერთო ბანკთან, მიტროფანე ლაღიძის ხელოვნურის წყლის და და ყინვის ქარხნის გვერდით. აქ მოაწყო „კოლხიდის“ ამხანაგობამ ბამბის საჩხევი მაშინები, რომელსაც ამოძრავებს ლაღიძის ქარხნის ელექტრონის ძალა. ხსენებული ბამბის ქარხანა ქალაქის შუაგულ, მყიდველ-გამყიდველისათვის ხელმისაწვდომ ადგილზეა. „ამხანაგობის“ ხელმძღვანელნი მხნედ შეუდგნენ ბამბის ყიდვის ორგანიზაციასაც: გაიჩინეს ბამბის რაიონების აგენტები სოფლებში, რომლებიც ზოგი ადგილობრივ იყიდიან საქონელს და ზოგიც გამყიდველებს პირდაპირ გამოგზავნიან ქუთაისის საწყობ ფაბრიკაში.

მაგრამ ამ პრაქტიკულ ზომებთან ერთად „ამხანაგობამ“ კარგად იცის, რა უკიდურეს მდგომარეობაშია დღეს ჩვენში ბამბის ადებ-მიცემობის საქმე სოფელში მოსიარულე მეიდველი ჩარჩების წყალობით და, როგორ ჰგლეჯენ ისინი ყოველ მხრივ დაბეჩავებულ-დაჩაგრულ სოფლებს, ატყუებენ იმათ წონაშიაც და ხვედრი ფულის მიცემაშიაც-კი.—და აი, ამ ნაკლის ცოტათღნად მაინც არის ასაცილებლად და სოფლელთათვის მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად, დაისტამბა „ბამბის მწარმოებელთა საყურადღებოდ“ პატარა დარიგება სოფლებში გასავრცელებლად. „კოლხიდის“ ხელმძღვანელთ იმედი აქვთ სოფლად მცხოვრებ ნასწავლ და კეთილ-სინიდისიერ პირთა, მღვდელი იქნება ეს, თუ ერი, დაეხმარებიან „ამხანაგობას“ სიტყვიერი ქადაგებით და ასწავლიან გზა-კვალ[illegible] სოფლელებს „კოლხიდის“ ამხანაგობაში, სადაც საქონლის გამყიდველებს მისხლობით და კაპიკობით უსწორდებიან ხელზე ანგარიშს.

აქვე გგზავნით დასასტამბად ამხედად სოფლად გასაგზავნ „დარიგებასაც“ და ვინც „ამხ.“ მი-

ფელეტონი

გულის პასუხი.

მე შენ მიყვარდი ციურის გრძნობით,
ვით პოეზია, როგორც ღვთაება,
და შენ თვალებში მეხატებოდა
სასუფეველი და უკვდავება!

—

ჭირში, თულხინში, ფხიზლად თუ ძილში
მცველ-ანგელოსად მელანდებოდი
და, ვით ხატის წინ წმინდა სანთელი,
უბიწოდ მსხვერპლად შენ წინ ვდნებოდი.

—

უხმო-უსიტყვო გრძნობათა ლოცვა,
საანგელოსოთ, რომ ენთებოდა,
ციურ მანანად ნუგეშის ცრემლად
უჩინრად გულსვე ეწვეთებოდა.

—

მაგრამ ჯოჯოხეთს და ბოროტ სულებს
არ ასვენებდა ციური ძალა
და უკვდავების წმინდა წყაროში
ჩააწვეთწვეთეს შხამი... სამსალა!

—

შენც შეგარყიეს... უსამართლობამ
ულმრთოდ გააქრო ტრფობის ლამპარი
და მაშინ ბნელში დავრჩი მეც ობლად
უსულ-უგულო და ცოცხალ-მკვდარი.

აკაკი.

თადე

(ამბავი).

თადე იყო ასე თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი. ტანიც წლოვანების შესაფერი ჰქონდა. თუმცა თადე ობოლი იყო, ობლობას მაინც ვერა დაეკლო-რა, გაზაფხულის ყლორტივით თავისუფლად გაზრდილიყო. იმას მზრუნველობდა ერთი გულქვა ნათესავი, რომელიც შინ არ აყენებდა თადეს და სულ მოჯამაგირედ ჰყავდა სხვისა კარზედ. მოჯამაგირობა, ხომ მოგეხსენებათ, ადვილი სამსახური არ არის! ბატონს ჰგონია, მოჯამაგირე არც დაიღლება, არც შესცივა ცარიელ ფარაჯაში, არც ავათ გახდება. ისე ექცევიან, თითქოს ის-კი ადამიანი არ იყოს!

თადეც ბევრს გაჭირვებას ითმენდა. მაგრამ ამ ძაღლ-უმადურს ცხოვრებას კიდეც შეეჩვია და ძალიანაც აღარ აწუხებდა. მხოლოდ ერთი თვისება დასჩემდა ამ მუდამ სხვისა ბრძანების ქვეშ ყოფნის დროს.

თადე ისეც მოკრძალებული, გაუბედავი ბიჭი იყო და ამ მოჯამაგირობამ და ბატონას ბრძანებამ ხომ უფრო დაალაჩრა, დააბეჩავა, პირუტყვივით მორჩილი გახადა სხვისა ბრძანებისა. ვისაც უნდა დაესაქმა, ყველას ხმის ამოუღებლივ შეუსრულებდა სურვილს, თუნდა სხვა უფრო საჭირო საქმეც ჰქონოდა გასაკეთებელი.

თადეს უმთავრესი ხელობა მწყემსობა იყო. რიგიანათაც იცოდა ეს საქმე: საქონელს წაასხამდა მინდორში, ან ტყეში და მიმარჯვებით აძოვებდა; ღამე სხვებთან ერთად მოუდარაჯებდა და დილით ადრიან მოჰრეკვდა შინ, თუ საჭირო იქნებოდა.

რაკი თადეს ხასიათი მისმა ამხანაგებმამწყემსებმაც იცოდნენ, აბა რაღას მოუსვენებდნენ საბრალოს! მეტის-მეტათ აწვალებდნენ, ხან საით გააქცევდნენ რისამე მოსატანად და ხან საით. მეტადრე უფროსი ამხანაგები უნამუსოდ სარგებლობდნენ თადეს გულკეთილობით და მორჩილებით. თითონ აღარაფერსა კადრულობდნენ; თავიანთ მაგიერ სულ თადეს აკეთებინებდნენ.

— წადი, თადე, დიდ მუხაზედ გუდა დამრჩა და ჩამომიტანე, პური უნდა ვჭამო... უბრძანებდა ერთი. აბა ნუ წავიდოდა! კარგებსაც მიაყოლებდნენ. გაუგონრობისთვის ხანდახან კარგათაც გამისახრავდნენ ხოლმე თადეს, მაგრამ ამისი მოსარჩლე არავინ იყო.

— თადე, ეტყოდა მეორე,—წადი, ერთი რბილი ქვა მომიტანე, თავით უნდა დავიდო... ერთი შენ სადღეგრძელოთ გამოვიძინო... თადეც მოჰნახავდა სადმე ქვას და მიუტანდა.

ასეთს ყოფაში ჰყავდათ საბრალო თადე თავის თანამოძმე მწყემსებსაც, არავინ იფიქრებდა: ნუ ვაწუხებთ, სინიდისიც კარგი საქონელიაო. შენც არ მომიკვდე! ისინი თავისას განაგრძობდნენ.

ამხანაგების უსინდისობა იქამდის მიდიოდა, რომ ამასაც არ კმარობდნენ და დასცინოდნენ ხოლმე კიდეც. აიგდებდნენ მასხარათ, სხვა-და-სხვა მეტს სახელებს ეძახოდნენ: ბენტერაო, ჩაჩიაო და სხვა... საწყალ თადეს გულს უსიებდნენ. მაგრამ ამ დროს თადემ დაზოგვა აღარ იცოდა. ვინც მოჰხვდებოდა, ისეთს ქვას დააზელდა, რომ ვაი დედას აყვირებდა. დამნაშავე-კი თადეს ხელის ხლებასაც ვერ გაუბედავდა, რადგან მაშინ თადე გმირი იყო ხოლმე მოთმინებიდგან გამოსული!

თადემ ბევრჯელ სიტყვის მოკრაც იცოდა, ისე რომ თავის ამხანაგებს გააშტერებდა ხოლმე. დამარცხებული მწყემსები ველარაფერს ეუბნებოდნენ.

ერთხელ თადესთან და მის ამხანაგებთან ერთად ერთს მეღორესაც ჰყავნდა მინდორში ღორი. სადამოხანზედ უცებ გაჩნდა მგელი და მოიტაცა ერთი მოზრდილი ბურვაკი. რასაკვირველია, ბურვაკმა თქვენი მოწონებული ჰყვიილი გააბა და ასტეხა ერთი ვაი უშველებელი. მწყემსებმა რომ ნახეს, ბურვაკს ვეღარ უშველიდნენ, მოიწადინეს, თადეზე მაინც ეცინათ და გული გაეყოლებინათ.

— ბიჭო, თადე, არიქა გამოუდექი, დაუჭყივლე იქნება როგორმე გააგდებინო ი ბურვაკი მგელსო...

— თქვე ოხრებო, მე რო აქედგან ყვირილით არ გავიბერო, თუ კი ყვირილით ეშველება რამე, ი ღორი უფრო მკვახეთ შიგ ყურის ძირში არ ჩასჭყივის?.. მაგრამ არ უშვებსო...

— ამ ბეიტერამ ხან-და-ხან რა ბაბაყულის სიტყვა იცის,—ეე!.. სთქვეს აქეთ იქიდან და თადეს თავი დაანებეს.

თადეს გასულელება უნდოდათ, მაგრამ ვერ მოუხდათ.

—

ჯიანჭველას რომ ფეხი დაადგა, ისიც-კი ხმას ამოიღებსო.

თადეს სწორედ ამ ჯიანჭველის ამბავი დაემართა.

ეს იყო ერთს ზაფხულის ღამეს.

ღამეც ძალიან ბნელი იყო, ღრუბლიანი...

ღამის ხარი თადეს და მისს ამხანაგებს ტყეში ჰყავდათ.

ცეცხლა პირას შემომწკრივებულმა მწყემსებმა ივახშმეს და ახლა წყალი მოსწყურდათ. ნახეს სურა, ცარიელი იყო; მაშინვე თადეს მიადგნენ ჩვეულებრივ, შენ უნდა წახვიდე ეხლავ და წყაროდან წყალი ამოგვიტანოვო.

— მე რა თქვენი ყმა ვარ, რო სულ მე მოგიტანოთ ხოლმე წყალი... შვილოსნისა, განა თქვენ-კი წელი მოგწყდებათ... აბა ახლა თქვენ ამოიტანეთ, იქნება მეც გემრიელათ დავლიოო...

— რა არი ახლა, თადე, რათ იცი, ბიჭო, გაჯიუტება თქვენი ლაბა ხარივითა. ჩვენ არც ერთმა არ ვიცით იმ წყაროს გზა, შენ-კი ნავალი ხარ აქა და ყველა გზები და ბილიკები იცი...

— არა, შვილოსან, ამ უკუმეთ ღამეში... მერე იმითანა ხევში ჩასვლა... რას ამოფ... მეშინიან კიდეც... ნადირით სავსეა აქაურობა...

— ნადირი-კი არა, შენი თავის გახეთქამ, ეხლა ისა თქვი... არაფრისაც არ გეშინიან შენა... მარტო გეზარება, ეგა ჰთქო, შენ ეშმაკისაც არ გეშინიან.., შეტევით უთხრა უფროსმა მწყემსმა, ჩვენ გზა არ ვიცით, ვერ გაიგე...

— მაგას რო არხეინათ ეუბნები და ეხვეწები, კიდეც იმიტომ ინაზება... შენი სალავათი-კი დაიქცა... მე ვიცი შენი... ეხლავე აიღე სურა და წადი წყალზე, თორე სუ ამ მუგუზალით გაგაჭრელეფ, შე ასეთ ისეთო... კიდეც შეუკურთხა მეორემ. მისცა სურა ხელში ძალათ და გაისტუმრა თადე წყალზედ.

— ბიჭო, თადე, აჰა, აი ეს მუგუზალი თან წაიღე, თუ მართლა გეშინიან. თუ ნადირი დაგხვდეს, მუგუზალი დაანახვე და გაგეცლება...

საწყალმა აღარ იცოდა, რა ექნა? უარი ეთქვა, სცემდნენ და ისე გაჰგზავნიდნენ; წასულიყო კიდევ და მათი მუდმივი მონა გამოდიოდა. ბრაზმა კინაღამ დაახრჩო თადე; მაინც გამოართო მუგუზალი და წავიდა. მუგუზლის გამორთმევაში-კი შეამჩნევდა კაცი, რომ რაღაც განზრახვით მიდიოდა წყალზედ...

მიდიოდა და თანა ფიქრობდა:—მე თითქოს მაგათი შაკაზმული ცხენი ვიყო, როცა უნდათ შამსხდებიან და საითაც უნდათ გამაჭენებენო... არა, მუდამ ეგრე არ ივარგებს. მეც კაცი ვარო... რათ ფნდა დამიბრიყვონო... მეც იმათი ამხანაგი არა ვარო?..

გულში სამაგიეროს გადახდა ჩაიდო.

თადე რომ გაისტუმრეს მისმა ამხანაგებმა, მერე სიცილ-ხარხარი დაიწყეს და მასხარად იგდებდნენ დაჩაგრულს თადეს. თითონვე უკვირდათ, როგორ უთმენდათ თადე ამოდენა უსიამოვნებას. ბოლოს-კი შეეცოდათ, რომ ამისთანა ღამეში მარტოკა გააგდეს. ნადირმა მაინც არა ავნოს-რაო. მაგრამ მალევე დაანებეს თავი სიბრალულს და ლაზღანდარობას მოჰყვნენ.

გავიდა კარგა ხანი. სიჩუმე ჩამოვარდა გარეშემო ტყეშიაც. დაყრილი საქონელი თუ ფშვინავდა სიამოვნებით, ან ნიავი ფოთოლს აშრიალებდა, თორემ სხვა ხმაურობა აღარა ისმოდა-რა.

თადეს ამხანაგებსაც, ის იყო თავი მიდოთ დასაძინებლად, თუმცა ჯერ-კი არ ეძინათ.

უცებ შორს ხევიდგან მოისმა საზარელი ყვირილი;—მიიშველეეთ... არიქაა, ბიჭებო... მიიიშვეეელეეეთ...

ეს სწორედ განწირულის ყვირილი იყო, განსაცდელში ჩავარდნილის ძახილი... ამ ჩუმსა და მყუდრო ღამეში ისეთი საზარელი იყო ეს ხმა, რომ ადამიანს თმა ყალხზედ შეუდგებოდა.

მწყემსებიც აკი დააფეთა!

იმათ მაშინვე იცნეს თადეს ხმა და ყველანი ზეზე წამოცვივდნენ. თქვეს, სწორედ ნადირი დაეცა ი ბიჭსაო... აღარავის ბევრი არ უფიქრია, ყველანი იქით გაექანნენ საშველათ, საიდანაც ხმა ისმოდა... ერთი ბიჭი-კი დასტოვეს საქონელთან.

ვიდრე მიახწევდნენ წყაროს, კიდევ რამდენჯერმე გაიგონეს გულ საკლავი—„მიიშველეეთ, მიიშველეეთო“, რომელიც შორს მთის ფერდობებში ყრუთ იკარგებოდა.

ჩავიდნენ ყველანი წყაროზედ.

თადე წყაროს პირას იდგა, სურა ხელში ეჭირა და ისე იძახოდა...

მიეხვივნენ თადეს და დაუწყეს გამოკითხვა: რა იყო, ბიჭო? მგელი იყო, თუ აფთარი? ხომ არ დაგგლიჯა? ბიჭო, რა იყო?..

თადემაც გულ-მოსულმა გამოჯავრებით უთხრა:

— რა იყო და აი რაა... თან წყაროზედ უჩვენა;—წყალი გინდოდათ და აი ესეც წყარო... რამდენიც გინდოდეთ, დალიეთ... მე თქვენი ვირი არა ვარ... აკი წყაროს გზა არ იცოდით, ვაჟბატონებო... აი, ეხლა ხომ ისწავლეთო!..

მწყემსები სახტად დარჩნენ.

თადეს ამნაირმა მოხერხებულმა ოინმა იმათ ჭკუა ასწავლა.

ამის გამო შემდეგშიაც ისე აბუჩათ ველარ იგდებდნენ თადეს.

დ. ნახუცრიშვილი.

ზანს თანაუგრძნობს, იგი გაზეთითაც ისარგებლებს მისდა („კოლხიდის“) დახმარებისათვის.

კვირას, 29 ენკენ. ქუთაისის საკვირაო სკოლის მასწავლებელმა ქალებმა ხსენებული სკოლის სახელით **მილოცვის** ტელეგრამა გაუგზავნეს რუსეთის ცნობილ პედაგოგს ქალს ხ. დ. **ალჩევჩევსკაიას**, რომლის ორმოცი წლის სახალხო განათლებისათვის მოღვაწეობას ხარკოვის საკვირაო სკოლა, რომელიც ამ მოღვაწისგანაა დაარსებული ამ დღეს დღესასწაულობდა. ქუთაური მასწავლებელი ქალების მოსაწონი თაოსნობა თავიანთი თანამოძმე ქალის ღვაწლის დაფასებისა კიდევ უფრო მოსაწონი იქნება, თუ თავიანთი სკოლის მოქმედების ათი წლის თავს შესაფერისად შეხვდებიან და არ დაიზარებენ თავიანთი შთაბეჭდილება და ცნობები გაუზიარონ საზოგადოებას. ამ მხრით მიჰბაძონ, თუნდაც, რუსეთის დღევანდელ იუბილარ-ქალს ალჩევსკაიას, რომელმაც თავიანთი შთაბეჭდილება-მოგონებანი ცალკე წიგნათაც-კი გამოსცა რუსულ-ენაზე და მათ აცნო საზოგადოებას ის ეკლიანი გზა სახალხო ასპარეზზე მოღვაწეობისა, რომლითაც დღეს მრავალ ქალ-ვაჟთ მოაქვთ თავი რუსეთში. მაშ, ჩვენც მსგავსი სიხალისის გზა დაგვილოცნია ქუთაურის მანდილოსნებისათვის, რომელთა განსწავლილი უმრავლესობა პედაგოგიურ ასპარეზზე სახალხო განათლების საქმეს ეწევა ქუთაისში...

1-ლ ოქტომბერს, საქალებო ეპარქიალ სასწავლებლის სასარგებლოდ გამართა ბულვარში **სეირნობა** და საღამოს კლუბში **საცეკვაო საღამო**, რომელმაც ამინდის შესაფერი შემოსავალი მაინც მისცა ხელმძღვანელთ. შემოსავალი, როგორც გადმოგვცეს, შვიდას მანეთამდის ასულა და ხარჯების გამოკლებით ნახევარი მაინც დარჩება სამღვდელოთა ქალიშვილების სასარგებლოდ. საღამოს მომეტებულად რუსობა დასწრებია და მოცეკვავეთაც გარგად უმხიარულნიათ და ნაშუაღამევის 3—4 საათამდე ხტუნაობით გული უჯერებიათ.

დღევანდელი აქაური წვიმიანი ამინდები ძალიან ხელის შემშლელია იმერეთის მკვიდრისათვის, რომელსაც სული კბილით უჭირავს ახალ მოსავლის შემყურეს და ხელს ვერ ახლებს უამინდობის გამო.

ისო.

რუსეთი

საუნივერსიტეტო წესდების შესამუშავებლად საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ ბჭობაში, სხვათა შორის, თითო უნივერსიტეტიდგან ორმა დეპუტატმა უნდა მიიღოს მონაწილეობა: ერთი—უნივერსიტეტის მიერ იქნება არჩეული და მეორეს, თვით სამინისტრო დანიშნავს; მოსკოვის უნივერსიტეტიდგან სამინისტროს დაუნიშნავს იურიდიულის ფაკულტეტის დეკანი პროფეს. ა. ს. ალექსეევი.

— ვილნის მხარეში ისე გავრცელებულა თურმე ხელოვნური გაპატივება მიწისა, რომ ადგილობრივი ქარხნები პატივის მზადებას ვერ აუდიანან; ამისათვის იმ სამის ქარხნის მეპატრონეთ, რომელნიც ვილნის გუბერნიაში არსებობენ, განუზრახავთ, მომავალ წლიდგან ერთი-ორად მეტი ხელოვნური პატივი დაამზადონ.

— ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლთა შეცვლა; წესდება ისე უნდა შეიცვალოს, რომ უმამულოს, ან მცირე მამულის პატრონს, თავადს ან აზნაურს, ჩამომავლობით რუსს, სესხი მიეცეს ხოლმე მამულის შესაძენად ვილნისა, ჩრდილოეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხარეებში.

— რამდენსამე ერობას აღუძრავს შუამდგომლობა, საგლეხო საადგილ-მამულო ბანკს ოპერაციების გაფართოების უფლება მიეცესო. მაგალითად, ბანკს უნდა შეეძლოს არამც თუ მარტო მამულები მიიღოს გირაოდ, არამედ მამულის შესაძენადაც მისცეს სესხი განსაზღვრულის წოდების არ მქონეთ (разночинцамъ) იმავ პირობით, როგორითაც გლეხებს ეძლევათ; გარდა ამისა სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკების მიერ მამულების საჯაროდ გაყიდვის დროს ნება უნდა ჰქონდეს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს და დაირჩინოს მამული და შემდეგ გლეხებს მიჰყიდოს; ამასთანავე გადაეცეს მას სათავად-აზნაურო ბანკებისაგან ის მამულები, რომლებიც გაუყიდველი დარჩება საჯარო ვაჭრობის შემდეგ, რომ იგინიც გლეხებს შეაძინოს.

— ოქტომბრის 1-ლს საერო განათლების მინისტრის სადგომში მოხდა პირველი ბჭობა უმაღლეს სასწავლებელთა დებულების გადასასინჯავად.

— საგანგებო კომისიას, რომელიც გზათა სამინისტროსთან დაარსდა რკინის გზაზე მოსამსახურეთა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, უკვე დაუმთავრებია თავისი მუშაობა. დებულების პროექტი წარედგინა დასამტკიცებლად გზათა სამინისტროს; ამ პროექტით რკინის გზაზე მოსამსახურეებმა უნდა ისარგებლონ სახელმწიფო სამსახურის უფლებით, მოემატოთ მათ ჯამაგირი, უნდა უზრუნველ-ჰყონ მათი მდგომარეობა სხვა-და-სხვა შემწეობა-დახმარებითა და სხვ.

უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის მთავარ-ეპისკოპოსთ შემდეგის წერილით მიუმართავთ სენატორებისა და დეპუტატებისათვის:

„ლიბერალნი სრულიად საფრანგეთისა, განურჩევლად სარწმუნოებისა და მიმართულებისა, იმედოვნებენ, რომ პარლამენტი არ შეჰლახავს სინიდისის თავისუფლებას, პრინციპებსა და საჭირო ნება-რთვას მისცემს იმ 500 ქონგრეგაციას, რომელსაც სწადიან საფრანგეთში დაფუძნებაო“.

ინგლისი. როგორც დეპეშამ გვაუწყა, ჩემბერლენს განუცხადებია, თუ სკოლის კანონ-პროექტი არ გავიდა, კაბინეტი სამსახურიდგან გადადგებაო. ეს განცხადება მოხდა ბირმინჰამში უნიონისტთა კრებაზე, რომელიც ახალშენთა მინისტრმა მოიწვია, რადგან თვით მთავრობის დასში ჩამოვარდა უთანხმოება სკოლის კანონ-პროექტის შესახებ. ეს ბჭობა მოხდა საიდუმლოდ; მხოლოდ ჩემბერლენის სიტყვა, რომლითაც მან მიჰმართა კრებას, იყო დაბეჭდილი გაზეთებში.

ახალშენთა მინისტრს თითქმის მთელი საათი ულაპარაკნია და ის აზრი გამოუთქვამს, რომ კანონ-პროექტს სუსტი მხარეებიცა აქვსო: „ელო—უთქვამს ჩემბერლენს—არამც თუ თანაგრძნობა და მფარველობა არ გამიწევია ამ პროექტისათვის, არამედ წინააღმდეგიცა ვარ ამ გვარ სკოლისა და, სწორედ მოგახსენოთ, საერო სკოლას ვაძლევ უპირატესობას სახელმწიფო კანტროლითაო; მაგრამ მცხოვრებთა უმეტესობა თხოულობს, სკოლებში სარწმუნოება უნდა ვასწავლოთო. მთავრობამაც ამისდა მიხედვით შეიმუშავა პროექტი მომავალის სკოლისა და კიდეც უნდა დაიცვას იგი. ის უნიონისტები, რომელნიც ჰგონებენ, რომ ჩვენი მთავრობა იმას არ აძლევს, რაც მათ სწადიანთ, ტყუილად იმედოვნებენ, რომ მათს წადილს რადიკალური მთავრობა დააკმაყოფილებს. ამისათვის მოწინააღმდეგენი პროექტის ზოგიერთ მუხლისა ხელს არ უნდა უწყობდნენ იმ ინტრიგანებს, რომელთაც უნდათ ირლანდია ჰომრულერების ხელში ჩააგდონ, სამხრეთ-აფრიკის საქმეები ბურების მოყვარეთ მიანდონ, იმპერიის ინტერესები ინგლისის ახალშენთა გაძლიერებისა და შინაურ საქმეთა გაუმჯობესობის მოწინააღმდეგეთ ჩააბარონ, ე. ი. საქმის მოთავეთ ნიუკესტლის პროგრამის ავტორნი გახადონ. მთავრობა მზადაა მოისმინოს მოწინააღმდეგეთა აზრი სკოლებში სახელმწიფო კანტროლის აუცილებლობის შესახებ, მზადაა ზოგი რამ კიდეც შესცვალოს პროექტში, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია სრულიად უარი სთქვას თავის პროექტზედ. ამით ხომ სახელი გაუტყდებოდა მთავრობას! მაშასადამე, თუ პროექტი დამარცხდა, მთავრობა უეჭველად სამსახურიდან გადადგება; ეს კარგად ახსოვდეთ უნიონისტებს და კარგად გაითვალისწინონ, თუ რა შედეგიც მოჰყვება ყოველსავე ამას“.

ავსტრია-უნგრეთი. ოკდომბრის პირველს მინისტრ-პრეზიდენტ ვერბერს უნდა მიეწვია ჩეხელთა და გერმანელთა დელეგატები მოსალაპარაკებლად ზოგიერთ ეროვნულ საკითხთა შესახებ. კერბერს უნდა წარედგინა კონფერენციისათვის დაბეჭდილი პროექტი, თუ რომელ ენას უნდა მიეცეს უპირატესობა ჩეხიაში. ამ პროექტით იმ გარემოებისათვისაც მიუქცევია კერბერს ყურადღება, თუ რა სურვილი იყო გამოთქმული მოპირდაპირეთაგან და აგრეთვე იმისათვის, თუ რა შედეგი მოჰყვა პირვანდელ ჩეხ-გერმანელთა კონფერენციას. კერბერს არ მიაჩნია თავისი პროექტი უნაკლულოდ; აქედგან-კი ცხადია, რომ მინისტრ-პრეზიდენტს სწადიან ხელახალი მოლაპარაკება გამართოს ჩეხებსა და გერმანელთა შორის; კერბერს, ალბად, იმედი აქვს, რომ ამ ხერხში დროებით მაინც შეაჩერებს ჩეხების ობსტრუქციას.

ოსმალეთი. კერძო ცნობებით, მაკედონიის არეულობის გამო, რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს წინადადება მიუციათ პორტისათვის, აუცილებლად რეფორმები უნდა მოხდეს მაკედონიაში, რომ როგორმე დაწყნარდეს ბალკანეთის ნახევარ-კუნძული. ამისათვის პორტას დაუნიშნავს კომისია, რომელმაც ადგილობრივ უნდა გამოარკვიოს მაკედონიის საქმეები. კომისია, რომელიც სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთაგან შესდგება, უკვე სიჩქარით გამგზავრებულა მაკედონიისაკენ. ამასთანავე იუწყებიან, რომ სამხედრო მინისტრს სამხედრო ბჭობა ჰქონდა, რომელსაც სხვათა შორის უკანასკნელ ბერძენ-ოსმალთა ომის დროს მთავარ სარდლად ყოფილი ედჰემ-ფაშაც დაესწროვოო.

სხვა-და-სხვა წერილები

საგულისხმო

კარგი ყოველთვის და ყოველგან კარგია, მაგრამ კარგს უკეთესი სჯობია. ვისაც ეს არა სჯერა, მისი გრძნობა-გონება ჩინურის კედლით არის გარშემოზღუდული და მისი საქმეც წასულია!

ჩვენს წინაპრებს რომ ეს ჭეშმარიტება კარგად ჰქონიათ შეგნებული, ამას მათი ანდერძი გვიმტკიცებს, მაგრამ ჩვენ-კი, დღევანდელი ქართველებს გულიდანა გვაქვს გადავარდნილი ეს საჭირო მცნება და მიტომაც ვადგივართ დაქვეითების გზას. ამას გვიმოწმებენ ჩვენი საზოგადო არჩევნები: წამოაყენებენ ორს უვარგისს და გინდა თუ არა, ერთი მათგანი უნდა აირჩიოთო! ეს უკუღმართობა დაკანონდა ჩვენში. ამ უგნურებამდი გარეშეებმა მოგვიყვანეს ძალ და ძალ და შემდეგ შინაურებმაც შეუწყვეს ხელი და მოძღვრებს მოწაფეებმა გადავაჭარბეთ!.. გამზდელს გაზდილებმა ვაჯობეთ! და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ გრძნობა-გონების უქონლობით ვერც დღევანდელი ქართველები ვიმართლებთ თავს: ორივე გვაქვს, მაგრამ უკუღმართად-კი ვხმარობთ, რადგანაც საზოგადო სარბიელი აღარ გვივარგა.

მეფის მონადირეებმა კურდღელი გამოიგდეს შარაზე, მწევარ-მეძებრები მისდევდენ და ყურებ დალურსული კურდღელიც საოცარის სიმარდით გარბოდა. მეფემ რომ დაინახა, ბრძანა: ნუღა მისდევთო! ეგ პატარა ოთხფეხი ტალახიან გზაზე რომ ძალდატანებით მაგრე მირბის, მშრალზე, როცა მაგისვე ნებაა, წინ ვინღა დაუდგებაო?

ამისი არ იყოს, ისტორიულმა გარემოებამ ცუდ-გზაზე დაგვაყენა—მაგრამ ვინ უნდა გამოგვიყვანოს სწორ-გზაზე? სხვისი იმედით თუ ვიქნებით, ვერას გავხდებით. ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ. და ეს პატრონობაც უნდა გაგვიწიოს მოწინავე დასმა, იმ ინტელიგენციამ, რომელიც დღეს სათავეში უდგას ჩვენს ხალხს და სადავეც ხელში უჭირავს.

ქვეყანა მათი შემყურეა და იმათი მიმყოლი. საითაც წინამძღოლი გაიწევს, ისიც იქითკენ მიემართება. ჩვენში დაბალი წოდება ყოველთვის კარგი ყოფილა და დღესაც არა უჭირს-რა!. ძველად თუ თავადებს მიჰყვებოდნენ მორჩილად გარეშე მტრებთან საბრძოლველად, დღესაც ისევ ახალგაზდა მეთაურებს, იმ ძველების მოადგილეებს, მისდევენ ყოველგვარ საშინაო საქმეში და, თუ ან ადრე და ან ეხლა ან კეთდებოდა რამ, ან ფუჭდებოდა, ის ყველაზე უფრო ადრინდელ თავად-აზნაურობას და დღევანდელ მეთაურ-ინტელიგენციას უნდა მიეწეროს.

ძველებური „გვართა ბრძოლა“ და დღევანდელი მეთაურების წეწა-გლეჯა, თითქმის, ერთი და იგივეა. საქართველოს ბევრჯელ წამოუშობია რომელსამე გვარში სამაგალითო მამულიშვილი და საოცარი გმირი, რომ თავისთავად ქვეყნის ძალი და დიდება ყოფილიყოს. მაგრამ თუ იმავე დროს სხვაც კიდევ ვინმე გამოჩნდებოდა და გვერდში ამოუდგებოდა, ქვეყანა ბედნიერების ნაცვლად უბედურებაში ვარდებოდა: ეს გმირები, იმის მაგიერ რომ ერთს უღელში გაბმულიყვნენ და შეერთებულის მეცადინეობით, უფრო მეტი სამსახური გაეწიათ იმ ქვეყნისათვის, რომლისთვისაც ცალ-ცალკე თავსა სდებდნენ, პირ აქეთ, ერთმანეთის ჯიბრს უნდებოდნენ და ქვეყანას ივიწყებდნენ.

ამითივე აიხსნება ისიც, რომ იმერელი შინ არ ვარგია და გარეთ კარგია. ჩვენში არსად ერთად იმდენი უმაღლეს სასწავლებლიდგან გამოსული ახალგაზდები არ მოიპოვებიან, რამდენიც ქუთაისში, მაგრამ საზოგადო საქმე კი მაინც დაქვეითებულია. რაც შეუძლიათ, იმის მესამედსაც რომ აკეთებდნენ, ჩვენს ბედს ძაღლიც აღარ დაჰყეფს. მაგრამ პარტიობითა და საქვენაო მოსაზრებით გატაცებულები ერთმანეთის წუნის დებასა და კიცხვა-ძაგებას უნდებიან. ხშირად მათი კუჭი გულს იმონებს და ვინც მათთვის სასარგებლო და გამოსადეგია, ქვეყნის სასარგებლო კაცადაც ის მიაჩნიათ. ეს ეგოისტური სასწორ-საზომი მაგრად უჭირავთ ხელში და „საქებათა-ქებო“ ბუკით და ნაღარით აყრუებენ ქვეყანას მათის დასახელებულის კაცის შესახებ. აბა, გადაავლეთ თვალი ჩვენს სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეებს. დავიდვათ გულზე ხელი, ღმერთსაც შევხედოთ და ისე აღვიაროთ: შესაფერ ადგილზე, სწორედ თავ-თავის ადგილზე სხედან მეთაურები? და მათზე უკეთესი მართლა აღარა გვყავანან? მაშ. რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ ჩვენი საქმები წინ ბიჯს ვეღარა სდგამდენ და უფრო ხშირად კიდეც იცარებოდენ. ეს ხომ ქვეყნის ღალატია და რად ჩავდივართ ამ ცოდვას? ნუ-თუ ჩვენი ახალ-თაობა ქვეყნის მტერია?

— არა!

— მაშ უმეცარი და უგნური? ვერ არჩევს ავსა და კარგს?

— არც ეს!.. ცოდნაც აქვს, ნიჭიც შესტანს და არც შრომას გაურბის, მაგრამ... მაგრამი ის არის, რომ ამას ყველას წყლის დღობვას ანდომებს და ქაფის მეტი აღარა გამოუდისრა.

— და რა ეშველება? რა არის ამ სენის სამკურნალო?

— შეთანხმება! მუტრიბთა (დამკვრელეთა) და მომღერალთა გუნდი, გინდ თვითეული მათგანი თვის თავად გენიოსიც იყოს, თუ ლოტბარს არ მიჰყვება და მის კვერთხს არ ემორჩილება, ხმაშეწყობილად, სახმატკბილოდ ვერას დაუკრავს და ვერცრას იმღერებს. ყოველ საქმეს თავისი შესაფერილოტბარი ეჭირვება. შეიძლება კაცი გენიოსიც იყოს, მაგრამ რომლისამე საქმისათვის-კი გამოუსადეგარი. შექსპირი და გიოტე ვერ მოახერხებდენ მოცარტობასა და ბეთჰოვენობას და აგრეთვე ვერც ესენი შესძლებდენ გიოტე-შექსპირობას.

ეს არ გვესმის დღევანდელ ქართველებს და როცა არჩევანზე მიდგება ხოლმე საქმე, დაუფიქრებლად ვასახელებთ კანდიდატებს. კათალიკოსობაზე რომ მივარდეს არჩევანი და ვინმე ყოვლად ღირსი, გამოჩენილი ღვთის-მეტყველი იყოს კანდიდატად დასახელებული, მაინც არ შეიძლება, რომ ვიღაც უმეცარი დიაკონი არ გამოუხტეს მოპირდაპირედ და მომხრებიც არ იშოვნოს! რომ იკითხავთ სად პირველი და სად მეორეო? კენჭოსნები თავისას გაიძახიან: ერთი ამბობს: ქალებს ხათრი ვეღარ გაუტეხეო. იმათ დიაკონი უფრო მოსწონთ, რადგანაც წვერები მუცლზე აყრია და მისი მოპირდაპირე-კი ქოსააო. მეორე გამოტეხილია: მართალია არა იცის-რა, მაგრამ რაც იცის, ჩემგან და ჩემ სახლში უსწავლიაო! მესამე იძახის: მე ეს მირჩევნია, ამიტომ რომ დიაკვნობაში ჩემი მეძღვნე იყო და ამ ჩვეულებას ვეღარც კათალიკოსობაში მოიშლისო და სხვანი.

ტყვილად კი არ არის ნათქვამი: „ალიას დარდი ფლავიაო“. აი, სწორედ ამიტომაც ჩვენებური არჩევან-არადანი მტრის სასიხარულო და ჩვენი კისერ-სატეხი მალაყობაა. ჩვენი ხალხის მაღალი და დაბალი წოდება მეტად დაშორდენ ერთმანეთს, საპირე სარჩულს აღარ უდგება. ინტელიგენცია, რომ მაღლა-მაღლა არ მიფრენდეს და მეთაურებიც ცის ლაჟვარდში არ ოცნებობდენ და ხან და-ხან დაბლაც ჩამოეშვებოდენ ხოლმე, სოფლელებისგან ბევრს რამეს შეისწავლიდენ ცხოვრებაში ჩვენთვის გამოსადეგს, აი გინდ ამას: არც ერთი მუშა გლეხი ორ მოზვერს, ან ორ ბებერ ხარს ერთ უღელში არ გაუბამს. გასახედნს უთუოდ გახედნილს ამოუყენებს გვერდში. მოზვერი ჯანღონით სავსეა, გულს ერჩის, მაგრამ გამოუცდელია და არ შეიძლება თავში არ გაიწიოსო და იმასთან ერთად, უღლის ცალად, რომ მეორე მოზვერი გამოუბა ურემსაც დაამტვრევენ და თვითონაც სადმე გადიჩეხებიანო. ბებერი ხარი-კი გახედნილია და ამიტომაც არის მაზე ნათქვამი: „ბებერი ხარის რქაც-კი ხნავსო“. საჭიროა რომ სანამ მოზვერი გაიხედნებოდეს, ბებერ ხარს უდგეს გვერდში. ახალგაზდა ხნიერს აიჩქარებს, ხნიერი ახალგარდას თავს შეაკავებინებს. ორივე ერთად მწყობრად გასწევენ უღელს და მათი შრომა უქმად აღარ ჩაივლისო.

ეს ჭეშმარიტება რომ არ ავიწყდებოდეს ჩვენს ინტელიგენტებს, მაშინ ძველებსა და ახლებს შუა უთანხმობა აღარ იქნებოდა და შეერთებულის შრომით ემსახურებოდნენ ქვეყანას და დღევანდელ „ჩვენიან—თქვენიანობას“ ბოლო მოეღებოდა. მაგრამ სად არის? და სწორედ მისი ბრალია, რომ ავსა და კარგს ვეღარ ვარჩევთ და უკეთეს აღარ ვეძებთ. მაგალითისათვის შორს ნუღა წავალთ! ავიღოთ თუ გინდათ, დღევანდელი თავ-პირის მტვრევა ოცი ათასი მანეთის შესახებ; თუ როგორ უნდა მოვიხმაროთ და რაზე? ერთი მხარე მაღალ სასწავლებლებში სტიპენდიებს გვირჩევს და მეორე-კი სკოლის დაარსებას. ეს რასაკვრელია, ორივე კარგი საქმეა, მაგრამ რადგანაც ერთად ორივეს ვერა ვსწვდებით, უნდა ერთი და ერთი ავირჩიოთ, რომელიც უფრო საჭირო და სასარგებლო იქნება. თუმცა არავინ მეკითხება, მაგრამ მე-კი ჩემდა თავად მეორეს მივემხრობი, რადგანაც პირველის მიმხრობა უმჯობესის უარყოფა იქნება და მადლობა ღმერთს, გვყავან უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულები, რომელთაც დიპლომი ხელში უჭირავსთ, მაგრამ... მაგრამ ის არის, რომ იმ დიპლომს თავის საკუთარ იარაღად ხმარობენ და საზოგადოს-კი არას არგიან. ქვეყნის ხარჯით, სამშობლოს წვითა და დაგვით გამოჩიჩქნილ-გამოზდილებს, ავიწყდებათ ყველაფერი და სამაგიეროს აღარ იხდიან. ზნეობრივ მოვალეობას ვინღა იჩივლებდა, რომ პირდაპირ იურიდიულიც არ ავიწყდებოდეთ?! ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში, სტუდენტობის დროს ვის არ გამოუტანია სტუდენტების კასიდან ფულები, მაგრამ შემდეგ, ცხოვრებაში რომ შეუტოპავსთ და საფარფაშოთაც ფრთები გაუშლიათ, აბა, თუ გახსენებიათ, რომ დღესაც კიდევ არიან გაჭირვებულ მდგომარეობაში სტუდენტები და გადაუხდიათ ვალი? სია რომ გამოვაქვეყნოთ, [illegible] მათგანს თუ ექნება გადახდილი, მეტს არა. განა ცოტასა ვხედავთ მათგანს, ხელჯოხიანებს, რომ ქართველობას გაურბიან; არავინ შეგვნიშნოს მათთან რამე ერთობა და თანამოაზრობა არ შეგვწამონ?! ადვოკატებ-ექიმების უმეტესობას მარტო მხოლოდ საკუთარ ჯიბისაკენ არ უჭირავს თვალ-ყური? ვიღას სცალიან საზოგადოებისათვის?.. და მაშ სხვა რაღა გვეთქმის ამ გვარ ვაჟბატონებზე მის მეტი, რომ „ჩემი ურგები ქოთანი ქვასო და შექამანდიც ძაღლსო“.

აქ, ცხადია ჩემი კეთილის მსურველები, ჩვეულებრივ ამოგლეჯენ თითო-ოროლა სიტყვას მიუხედავად დედა-აზრისა და დაიწყებენ ღადღს: „აი აკაკი რას ამბობსო!.. უმაღლეს სასწავლებლის მოწინააღმდეგეა და აქ კურს-დასრულებულებს უკიჟინებსო!“ მაგრამ ეს საკუთარი მათი ოცნება იქნება. მე არ თანავუგრძნობ მხოლოდ დღევანდელ დიპლომიანების უმეტესობას და ვფიქრობ, რომ იმათ გამოზდაში სულაც არა დაგვეხარჯა-რა, დიდი შეცდომა არ იქნებოდა.

ჩვენ რომ ინგლისელებს ჯონ-ბული გამოუზარდოთ და ამერიკელებს იანკი, ჩვენთვის რა სასარგებლოე იქნება? ამ ჩვენის წვლილით, რაღაი-კი დღიურ საზრდოსაც ვიკლებთ, სასურველია, იმისთანები იზრდებოდნენ, რომელნიც შემდეგ გვერდში ამოგვიდგებიან საერო ჭირისა და ლხინის თანამოზიარეთ. მაგრამ ამისთანები დღეს იშვიათი არიან და თუ უკეთესები არ გვეყოლებიან, გინდ იყოს და გინდ არა. ისინიც, მართალია, დიპლომს რომ ხელში დაიჭერენ, მაღალ საფეხურზე იდგომებიან, ასე როგორც დღევანდელები დგანან, მაგრამ ჩვენი საკუთარი კიბით ხომ არ ასულან იმ სათავემდე და სხვისი ეზო აქვთ გამოვლილი, ამიტომაც გარეწრობენ! აი თუ რათა ვარ სტიპენდიების მოწინააღმდეგე და ვესარჩლები იმ დაბალ ტიპის სასწავლებლებს, რომლის კარებზედაც აწერია: „ჯერ თავო და თავო და მერე-კი ცოლო და შვილო“. დიახ, დაბალი ტიპის სკოლები საძირკველია იმ ეროვნული შენობის, რომელიც უნდა ავაგოთ და პირველი საფეხური იმ კიბის, რომლითაც უნდა მაღლა ავიდეთ. ამ გვარი სკოლები როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვისაც საჭიროა, მაგრამ თუ ორივეს მოხერხება ერთად შეუძლებელია და საქმე არჩევნებზე მიდგა, რასაკვირველია, საქალებო სასწავლებელს ავირჩევ. ქალია საზოგადოდ „ქვეყნის მარილი“ და ეროვნებაში-კი ეკალიცა და ყვავილიც, ბორკილიცა და გვირგვინიც. ეს იმაზეა დამყარებული, თუ რომელ გზაზე დგანან: საწადმართოზე, თუ საუკუღმართოზე? საჭიროა იმათი აღზრდა, რომ დედებად ივარგონ და „ხე ნაყოფისაგან საცნაურ იქმნეს“. ეჰ, რა ვუთხრა გარემოებას, რომ ზოგს პირის წყალს უშრობს, რომ ვერა ილაპარაკოს-რა და ზოგსაც პირში წყალს უგუბებს, რომ აღარ ალაპარაკოს!.. ნიშნებით უნდა გამოთქვას აზრები და განა ყველა მიხვდება?.. ჩემ ნება-სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული და შემეძლოს, ყველაზე უმალ საქალებო სკოლას დავაარსებდი და თუ რა ტიპისას, მოგახსენებთ: ჩვენ გვაქვს დამტკიცებული წესდება დრამატიულ საზოგადოებისა, რომელსაც ნება ეძლევა დრამატიული სკოლაც გახსნას.

ამგვარი სკოლები არიან რუსეთში, მაგრამ აქედან ასში ათი თუ გამოდის არტისტად, დანარჩენები ოჯახს უბრუნდებიან. ჩვენთვისაც ამ ტიპის სკოლაა საჭირო. აქ რომ სწავლას დაამთავრებენ, შეეძლებათ მერე უფრო მაღალ სასწავლებელში გადასვლა და სწავლის გაგრძობა და ვინც ვეღარ შეიძლებს, იმას იმდენი ცოდნა კიდევ დარჩება, რომ ოჯახს გამოადგეს და ქვეყანას შეძლებისა და გვარად ემსახუროს. სხვა რომ აღარა ვსთქვათ-რა, ქართული ხომ მაინც ზედ მიწევნით ეცოდინებათ იმათ, მაშინ როდესაც დღევანდელ ჩვენ საშუალო სასწავლებელ გათავებულ ქალებს სრულიად დავიწყებული აქვსთ დედა-ენა და ერთმანერთში მიწერ-მოწერასაც ვეღარ ახერხებენ. რუსული ენა და საგნები ამ სათეატრო სკოლაში იმდენივე და იმავე პროგრამით ექნებათ შესწავლილი, როგორც სხვა სახელმწიფო სკოლებში. და რასაკვრელია, შეეძლებათ თვითონვე შვილების გამოზრდა იმდენად, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფო სასწავლებლებში ამა თუ იმ კლასებში მიაღებინონ ხოლმე. და ეს ცოტა არ იქნება ჩვენთვის. განზე რომ გადავდვათ ზნეობრივ და გონებრივ აღზრდა და მარტო მხოლოდ ბაზაზხანურად „ჩავაგდოთ ჩოთქი“, მაშინაც არ წავაგებთ ჭკუას: სულ ცოტა რომ ვსთქვათ. ორი ათასი ყმაწვილი ხომ იქნება საქართველოში ყოველ წლიურად სკოლებში შესასვლელი? იმათ შინ პატრონი აღარა ჰყავთ, გარეშეებს აბარებენ მოსამზადებლად და ეს დიდ ფასად უჯდებათ. ცოტა რომ ვიანგარიშოთ თითოზე ოც თუმანზე ნაკლებ ხომ არ დაიხარჯება, გამოდის, ვარაუდობით, რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში

ოცი ათასი თუმანი. ეს ფულები გარეშეებს მიაქვსთ და შინ რომ დედებმავე შეიძლონ შვილების მომზადება, მაშინ სხვების მოხარკე აღარ ვიქნებოდით. და მაშ ორი ათასმა თუმანმა რომ წელიწადში ოცი ათასი თუმანი მოგვაგებიოს, ცუდი იქნება?—„ვისაცა ესხენ ყურნი სმენად ისმინონ“!ო, მაგრამ რას ვამბობ?—განა ცოტანი არიან, რომ „ყურნი ასხან დიდ და სმენა-კი მცირედ“. ეს რომ არ ვიცოდე; ვინატრებდი, რომ ის ფულები ოცი ათასი მანეთი, საკუთრად საქალებო სკოლებზე დახარჯულიყო. და თუ მთლად არ მოხერხდებოდა, აქედან ცოტა რამ, მაინც რგებოდა სათეატრო სკოლას მხოლოდ ნიშნად თანაგრძნობისა.—მაგითი რას გავხდებით?—მეტყვიან.—მართალია, ბევრს ვერაფერს, მაგრამ სხვების წასახალისებლად, თანაგრძნობის ნიშანიც კარგი საქმეა: ქათამს რომ კვერცხი მოადგება, საბუდარზე შეფრინდება, ჩაიხედავს შიგ და თუ კვერცხი არ დაუხვდა აღარ ჩაჯდება, გადაფრინდება და სხვაგან სადმე დაჰკარგავს, და მიტომაც შძევლად კვერცხს უდებენ. ქვეყანა წამხედურობის სენით არის შეპყრობილი. ავსაცა და კარგსაც, თითქოს, ძალა უნებურად მოჰყვება ხოლმე. და აშკარაზე გამოტანილ საქმეს რომ დაინახავს, გულ-გრილად ვეღარ აუხვევს გვერდს. თუმც ეს ცხადი ჭეშმარიტებაა და კარგათაც მესმის, მაგრამ მე მაინც ამ ჩემს შენიშვნებს უფრო ჩვენი ქალების შესაგონებლათა ვსწერ, ვიდრე დღევანდელ მეთარუ მამაკაცების სამხილებლად. ჩვენში ჯერჯერობით ორი რამ მიმაჩნია უსაჭიროეს საქმედ: ერთი ეს საქალებო სკოლა და მეორეც საქვეყნო ზეპირ-გადმონაცემებისა და ძველი ლიტერატურის დასტამბვა და გამოცემა და ამას ორივეს მარტო ქალებიც მოახერხებენ, რომ მოინდომებდნენ, კაცების დაუხმარებლადაც. სურვილი და მონდომება ნახევრად შეძლებაა. ოღონდ ჩვენმა ქალებმა-კი გამოაცხადონ სურვილი და ჩვენ შეგვიძლიან გამოუძებნოთ მათ და მიუთითოთ ამისთანა წყაროებზე, რომელნიც ჩვენს ცხოვრებაში დღეს უჩინრადა და უნაყოფოდ იკარგებიან.

მათი დაწაფება ადვილია, გული უნდა, როგორც სურვილს ბუდე და სადაც გულია, იქ ხომ ქალების სამთავროა?!

დროა, რომ ჩვენმა ქალებმა, თვალი გამოახილონ, შეუდგნენ საქმეს, მაგრამ საჩხირკედელაოსა და საკაჭკაჭოს-კი არა, ნამდვილ საქვეყნოს, რომ ნიადაგი მოუმზადონ მომავალს. და მით მოგვაგონონ ჩვენი ძველი დედები... ნამდვილი ქართველი ქალები, თაყვანი გვაცემინონ.

აკაკი.

ნარკვევი

„ცნობის ფურცელმა“ ამ უკანასკნელს დროს, რაკი საფანელი შემოაკლდა, დავთარი გაიჩინა და ამ დავთარს „პატარა დღიური“ დაარქვა. რასაკვირველია, „ფოდრაჩიკის“ გაზეთს ამგვარი დავთარი შეჰფერის და, დაე, თავში ქვა იხალოს და რამდენიც უნდა სჩხაბნოს ამ დავთარში, თავის „ალის“ სასიამოვნოდ, ბ-ნმა Spectator-მა.

ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ „ფოდრაჩიკის“ ერთგული პრიკაშჩიკი ასეთის გაწიწმატებით გადმოსწვდა „ცნ. ფურცლის“ გუშინდელს ნომერში გაზ. „ივერიას“. ცხენს ვერა დააკლეს-რა და უნაგირსა სწვდნენო, სწორედ ეს არის. თუ ს. ქვარიანის წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში იბეჭდება, კ. აბაშიძის პასუხად, არ მოსწონს ბ-ნს Spectator-ს, „ივერია“ აქ რა შუაშია?! „ივერიას“ თავის მოვალეობად მიაჩნია მისცეს ღონისძიება ყველას საზოგადო საქმის გამო გამოსთქვან თავიანთი შეხედულობა და ამ აზრით უთმობს ადგილს ისეთს წერილებსაც, რომელსაც იქნება თვითონაც არ თანაუგრძნობს. მით უმეტეს „ივერია“ მოვალე იყო დაებეჭდა ს. ქვარიანის პასუხი, რომ ბ-ნმა კ. აბაშიძემ ქვარიანს თავის წერილში თავზედ ხელი არ წაუსვა და ტკბილად არ მოიხსენია. საზოგადოდ, შავის ქვის საქმე ჭიათურაში ისეთი დიდი საქმეა, რომ მის შესახებ წერილების ბეჭვდა, თუნდა ეს წერილები საპოლემიკო ხასიათისაც იყოს, გაზეთს ვერ დაამცირებს. აგრე რომ იყოს, „Вѣст. горн. дѣла и орошенія“-ს უკანასკნელს ნომერში ვრცელი საბრალმდებლო ხასიათის წერილი არ იქმნებოდა დაბეჭდილი *). ეს გაზეთი ხომ სპეციალისტების ხელშია და იმათ კარგად იციან შავის-ქვის საქმის მდგომარეობა! ჩენგერი ხომ კიდეც თავმჯდომარეობდა შავისქვის მრეწველთა კრებას შარშან!..

ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ, რაკი ქვარიანი ჰკიცხავს თავის წერილებში ბ-ნს ზდანოვიჩსა და კ. აბაშიძეს, უთუოდ პირველი მართალია და უკანასკნელნი მტყუანნი და დამნაშავენიო. მოვითმინოთ, მოვისმინოთ იმათი სიტყვაც, ვისაც ქვარიანი ბრალსა სდებს. ქვარიანსაც მძიმე ბრალი დასდეს და კაცი სცდილობს თავი გაიმართლოს. „ცნ. ფურ.“-ს ის უბრალო ჭეშმარიტებაც-კი არ ესმის, რომ ერთს რომ მოუსმინე, მეორესაც უნდა მოუსმინო.

თუ ქვარიანი მართლა მხოლოდ „როშავს და ჰბოდავს“, როგორც „ცნ. ფურ.“-ი ამბობს, მაშ, რად უბეჭდავდა თვით „ცნ. ფურცელი“ ამისთანა მროშველს ვრცელს წერილებს ფელეტონებად სასოფლო მეურნეობის შესახებ და აგრეთვე შავის ქვის საქმის შესახებაც ამ რამდენისამე ხნის წინად?

არა, „ფოდრაჩიკის“ გაზეთს აქ სხვა მუცლის ტკივილი ალაპარაკებს. საქმე ის არის, რომ ქვარიანის წერილს, რომელიც „ივერიის“ 211 ნომერში იყო დაბეჭდილი, ძალიან გაუწიწმატებია „ცნობის ფურცელი“ იმიტომკი არა, რომ კ. აბაშიძესა და გ. ზდანოვიჩს ეხება, არამედ იმიტომ, რომ თვით „ცნობის ფურ.“ და მის სულის ჩამდგმელს მოახვედრა მწარე მათრახები ქვარიანმა თავის უკანასკნელს წერილში. თუ ეს ასე არ იყოს, რატომ აქამდე არ ამოიღო ხმა „ცნ. ფურცელმა“ ზდანოვიჩის გამოსაქომაგებლად?! რა დასაჯერია, რომ „ფოდრაჩიკის“ გაზეთმა თვისის ნოქრების „შტატით“ თავი გაიცხელოს ზდანოვიჩისა და აბაშიძისათვის?! ან არა ზნეობრივი კავშირია „ცნობის ფურცლის“ რედაქტორსა და ბ-ნ ზდანოვიჩს შორის?! არაფერი, გარდა იმისა, რომ ამ გაზეთს, არამც თუ ფული, ფულის სუნიც-კი ისე უყვარს, რომ საიდანაც-კი ეს სუნი მიედინება, მაშინვე იქით იზამს პირს, იყნოსავს და თან ლოცულობს, რომ იქნება როგორმე მეც მომეცხოს რამეო.

განა ფულის სუნმა არ დაუბნია დავთარი ქალაქის არჩევანების საქმეში „ცნობის ფურცელს“ და ძმობისა და ერთობის ლათაიები არ ათქმევინა?! განა ფულის სუნმა დასავლეთისკენ-კი არ აქნევინა პირი „ცნობ. ფურცელს“? როგორ არა, იქაც, კოლხიდისკენ საკმაოდ იყნოსა ფულის სუნი „ფოდრაჩიკ-რედაქტორმა“ და მისმა ღირსეულმა პრიკაშჩიკმა და კიდევაც იმედი აქვთ ყნოსვისა. ეს იმედი რომ არა ჰქონდეთ, მალე წიხლსა ჰკრავენ ზდანოვიჩსაც, რომლის ადვოკატობასაც სწევენ ახლა, და სხვასაც, როგორც წიხლი ჰკრეს არა ერთსა და ორს ღირსეულს ქართველს კაცს „ცნობ. ფურცლის“ სულის ჩამდგმელებმა. მოიგონეთ, მკითხველო, მეთაური წერილები ამ გაზეთისა სათავად-აზნაურო სკოლისა და შენობაზედ და აგრეთვე წერილი ვ. აბულაძის შესახებ.

რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომ „ივერიას“ ნაკლებადა აქვს მასალა და იმიტომ ჰბეჭდავს ქვარიანის წერილებსაო, და ამის შემდეგ სხვა ჭირებს მოაყოლებსო, ამაზედ ჩვენ არას ვიტყვით. ეგ მკითხველმა განსაჯოს და დააფასოს, რა მასალა იბეჭდება „ივერიაში“. ეს-კი აშკარაა, რომ ეგ მასალა ცნ. ფურცელს“ არაფრად ეპიტნავება და ისე სძულს, როგორც მავნეს საკმელი.

ამას წინად, ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ ჩვენს სოფელს დიდად აჭირვება ყოველგვარი იურიდიული დახმარებაო. სოფელში ძალიან ნაკლებად იცის ხალხმა, როგორ უშველოს თავს სულ უბრალო იურიდიულ გაჭირვების დროს. ამიტომ სოფლის ხალხს უნდა ჰყავდეს ნასწავლი, გამოცდილი იურისტი, რომელიც უნდა აძლევდეს დარიგებას ხალხს და მისი ხელის ამპყრობელი იყოს, ამა, თუ იმ იურიდიულ საჭირვებაში.

რუსეთშიაც ასეთსავე ყოფაშია სოფლის ხალხი. იქაც დიდად აჭირვება სოფელს იურიდიული დახმარება. რუსულს გაზეთებშიაც ბევრსა სწერენ ამ საგნის შესახებ. ახლა განსაკუთრებულ საბჭოს მიერ დაარსებულმა კომიტეტებმაც მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება. გაზ. „Рус. Вѣд.“-ი გადმოგვცემს, რომ სუჯანის (კურსკის გუბერნიაშია) სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტის კრებაზედ ვინმე გოგორუნმა წაიკითხა მოხსენება და ამტკიცებდა, რომ სოფელს და სოფლის ხალხს აჭირვებს იურიდიული დახმარება, უნდა ჰყავდეს თავისი ვექილი, ანუ დაარსებული უნდა ჰქონდეს თავისთვის იურიდიული ბიურო, რომელიც ყოველგვარს იურიდიულს დახმარებას გაუწევს სოფლის ხალხსაო.

„ივერიის“ ფოსტა:

ბათუმი ა. ლ—კას. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 ოკდომბერი.

ჰელსინგფორსი. სენატში შესდგა კომისია გასაშინჯავად წესებისა იმპერიიდგან საქონლის შემორეკის შესახებ.

რიაზანი. სამაზრო კრებამ დაადგინა საერო განათლების სამინისტროს წინაშე აღძრას შუამდგომლობა შესახებ სახალხო ბიბლიოთეკათა კატალოგების გაფართოვებისა დრო-გამოშვებით გამოცემათა შიგ ჩართვით.

პოლტავა. პოლტავის სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა ეთხოვოს საერობო გამგეობას იტვირთოს შუამავლობა მიწათ-მოქმედთაგან სამხედრო უწყებისათვის ხორბლეულის მიწვდის საქმეში და რკინის გზის მმართველობასთან მოილაპარაკოს სადგურებზე ხორბლეულის შესანახ საწყობთა შესახებ.

სევასტოპოლი. იალტიდან მობრძანდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოოზის ძე და ჩქარის მატარებლით პეტერბურგს წაბრძანდა.

სარატოვი. შუამდგომლობენ საბეითალო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ქალაქი ჰპირდება მიწას.

ვიტეგრა. ონეგის არხი და მდ. კლოვშა გაიყინა. საქონლის გემების მიმოსვლა შესწყდა ყინულის ჩატეხვა იწყეს. სიცივე 12°-მდე იყო.

კალუგა. ქირდრინის ერობამ 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვა 269,655 მან. დაამტკიცა: სამკურნალო განყოფილებისათვის — 81,475 მან. საგუბერნიო საჭიროებათათვის—76,198 მან., სახალხო განათლებისთვის—48,898 მან., საერობოს მმართველობისთვის—20,192 მან., სამეურნეო საწყობისთვის—2,315 მან. და საბეითალო საჭიროებისთვის –2,170 მან.

ბელგრადი. გენერალ მარკოვიჩს ოფიციალურად მიენდო შეადგინოს კაბინეტი.

მოსკოვი. მოსკოვის სამაზრო-საერობო კრებამ შეადგინა კომისია საერობო სკოლების დასათვალიერებლად, ასაწერად მათ სამკურნალო-სანიტარულ და ქონებრივ მოწყობილებების და მათ საჭიროებათა გამოსარკვევად.

5 ოკდომბერი

რიაზანი. ბატონ-ყმობის გადავარდნის 40 წლის შესრულების სახსოვრად სამაზრო საერობო კრებამ გადასდო 5000 მან. ხუთის სკოლის ასაგებად; მერე კიდევ 1904 წლიდან, გადასწყვიტა გადასდოს ხოლმე ყოველწლივ 1500 მან. თითო სკოლის დასაარსებლად ულარიბეს სოფლებში და მიანდო გამგეობას შეიმუშავოს პროექტი ხარჯთ-აღრიცხვისა საყოველთაო სასწავლებლად სკოლების დაარსებისათვის.

პეტროზავოდსკი. კარგოპოლის საერობო კრებამ დააარსა გამგეობასთან სასოფლო სამეურნეო საბჭო და საწყობი თესლეულობისა და სამეურნეო მანქანებისა. თან კრებამ გადასდო საჭირო ფული პატარ-პატარა სასოფლო მეურნეობის შესახების წიგნაკების სასყიდლად და ხალხში დასარიგებლად.

კონსტანტინეპოლი. გაზეთების ცნობანი მაკედონიის ამბავთა შესახებ გაზვიადებულია. მართლდება ის ხმა, რომ ბრბოთა მოქმედება კლებულობს. ბოლგარნი-მკვიდრნი, მთაში წასულნი გასახიზნავად, უკანვე ბრუნდებიან. ის ცნობა, რომ მცირე აზიის 30 ბატალიონს ებრძანა გაემართოს მაკედონიასაო, საფუძველს მოკლებულია. სერრესს გაგზავნილი კომისია დაბრუნდა სერბიის ელჩმა წარუდგინა გარეშე საქმეთა მინისტრს ქაღალდი, ალბანელნი ძალ-მომრეობენ ქრისტიანეთა შორის ძველ სერბიიშიო. ილდიზიდან მოვიდა დამამშვიდებელი ამბები.

პოლტავა. სამაზრო საერობო კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს, რომ 1) გლეხთა საადგილ-მამულო ბანკმა აძლიოს სესხად იმდენი, რაც ჰღირს მამული ანუ 90% მამული ღირებულობისა; 2) სარგებელი ახდევინოს გლეხთათვის გაცემულ სესხში $4\frac{3}{4}\%$; 3) გლეხთა საზოგადოებათა და კერძო გლეხკაცთ ნება ჰქონდეთ დაუგირავონ საადგილმამულო ბანკს საკომლონი (ნადელები) და იღონ სესხი მამულების სასყიდლად; 4) გლეხთ ნება მიეცეთ მიჰყიდონ საკომლონი საზოგადოებათა და სხვა წოდების კაცთა და 5) ბანკის არა თუ ii განყოფილებაში ნება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ და ხმა იქონიონ საერობო კრებათა მიერ ამორჩეული.

ნიუ-იორკი. 2 ოკდომბერს კარუპონში (ვენესუელა) მოვიდა საფრანგეთის გემი „სიუშე“ და გამოუცხადა პროტესტი ერთი ფრანგის დაპატიმრებისათვის, რომელიც გაანთავისუფლეს ბოდიშის მოხდითა.

ნიუ-იორკი. 3 ოკდომბერში ცეცხლ-მფრქვევის მთიდამ სუფრიერიდამ ამოხეთქა ნაცარტუტი, იტყობინებიან ბასსტერრიდამ, რომ გვადელუპზე ძლიერი გრგვინვა მოისმოდაო, და სჩანდა ალი მარტინიკისაკენ. 3 ოკდომბერს ილ-დე-სენტზე და მარი-გალინტზე მიწა იძრა.

ლონდონი. კუნძულ ბარბადოსზე დიდძალი ფერფლი გადმოვიდა სან-ვინცენტიდამ. ვაჭრობა შესწყდა.

ლონდონი. ირლანდიელ დეპუტატს მანიუსს მუქარასა და შეთქმულობაში მონაწილეობისათვის სლაგოში ქაუსაჯეს ორი თვით კიტორგა.

ვენა. „Neue Treie Presse“ იუწყება, რომ ტრიესტში ოქტომბერში გაუთხვრიათ იტალიის საელჩოს ღერბი. ელჩმა მთავარ-მართებელს საჩივარი მიართვა.

სოფია. მაკედონიის საზღვრებიდგან დაიწყეს გახიზვნა, რადგან ეშინიათ ოსმალოთაგან შეწუხებისა. საზღვარზე დაატყვევეს რაზმი მეამბოხეთა, რომელიც მაკედონიიდგან მოდიოდა და ვერ გაიკაფა გზა როზლოგზე.

ხარკოვი. ხარკოვის სამაზრო საერო კრება წინააღმდეგია მიძრავი სკოლებისა და შუამავლობს საგუბერნიო კრებასთან, რათა შეიმუშაონ ის საკითხი რომ მთელს გუბერნიაში შემოღებულ იქმნას საერთო სწავლება.

სოჭა. საუცხოვო ამინდებია. 17° რეომიურისა ჩრდილში. ვარდები გაშლილია.

ლონდონი კიტჩენერი ინდოეთში წავიდა,

ბერლინი. ბურების გენერლები რეიხსტაგის სხდომის დროს იყვნენ ტალანში. თავადმა ბისმარკმა გასინჯა იმათი რეიხსტაგის სადგომი.

იალტა. მათის უმაღლესობის საპატიო დარაჯმა გადაიხადა დღესასწაული ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით.

გროზნა. ალიავკინის ადგილზე ამოხეთქა შადრევანმა, სამი საათის განმავლობაში ნახევარ მილიონი ფუთი ნავთი ამოისროლა.

პარიჟი. კონგრეგაციულ სკოლების დახურვაზე ბაასის შემდეგ პალატა 329 წინაამდეგ 233 ხმისა, შეუდგა მორიგი საქმეების განხილვას და გამოუცხადა რწმუნება სამინისტროსა.

ბერლინი. ბურთა პატივსაცემლად გამართულს სადამოზედ დაესწრო 3000 კაცი. პრუსიის ლანდტაგის დეპუტატმა ლიუკგოფმა აღადღეგრძელა იმპერატორი და სასტიკი გამოაცხადა გენერლების მოსვლის გამო. ბოტამ მადლობა გადუხადა თანაგრძნობისა და მასპინძლობისათვის და სთქვა, რომ ბურებმა ყოველივე ღონისძიება იღონეს სამშობლოს დახსნისათვის და, დაჰკარგეს-რა ყოველივე, იძულებულნი არიან მიჰმართონ უცხო ერთ შემწეობისათვისაო. დელარეიმ აღწერა საცოდავი მდგომარეობა თავის სამშობლოსი და სთქვა, რომ დარწმუნებული ვარ, ინგლისი შეგვეწევაო. დევეტმა განმარტა, რომ შემოწირულებანი განზრახულია მოხმარდეს ქვრივთა, ობოლთა და ომში ხეიბარქმნილთა, და არა მამულის პატრონთაო. დასასრულ, მადლობა გადაუხადა გერმანიის ერს და მის წარმომადგენელთ, თავიდან აგვაცილეს ყოველივე, რაც კი უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდებდაო. გასათხოვარმა ქალებმა მიართვეს გენერლებს სამი ოქროს გვირგვინი დაფნის გვირგვინების სახის.

განცხადება

„GRAND PRIX“
PARIS 1900,

Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°

Духи
„Бутонъ д' Оръ“

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

საბუხგალტერო კლასები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წელიწადი მესამე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი განგრძობილ იქმნება არა ნაკლებ 6 თვისა. **მეცადინეობა საღამოობით, კვირაში სამჯერ.** მსმენლებად შეუძლიანთ იყვნენ **წერა-კითხვის მცოდნენი ორივე სქესისა.**

ფასი 40 მანეთი მთელის კურსისათვის.

თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება ყოველ-დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, საკომერციო სასწავლებლის შენობაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 11). (8—6.—7)

კომპანია „გრამოფონი“.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახლი აბიანცისა № 7.

[illegible] ოდესა, [illegible] 69.

მრავალი გრამოფონი გვაქვს ყოვლად-გაუმჯობესებული.

დიდ-ძალი მეტალის ფირფიტები სახელ-განთქმულ და ცნობილ მომღერალთა, როგორც მაგალ. რუსთა, ქართველთა, სომეხთა, თათართა, სპარსთა, ოსმალთა, პოლონელთა, ფრაგთა, ინგლისელთა, იტალიელთა, გერმანელთა, და სხვათა მომღერალთა.

ფირფიტების არჩევის დროს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ჩვენს საფაბრიკო დამღას: „მწერალი ანგელოზი“, ურომლისოდაც ფირფიტა ყალბი იქნება უსათუოდ.

კომპანიის საწყობთან განსაკუთრებული სახელოსნოა, რომელიც, თუ საჭიროა, გაჰმართავს და შეაკეთებს გრამოფონს.

კომპანია ზუღდავანოშ კისრულობს, რომ გრამოფონი წესიერად იმუშავებს სამის წლის განმავლობაში.

მაღაზია თავის ხარჯით კისრულობს საქონლის შეხვევას, ყუთში მოთავსებას და გაგზავნას.

გაგზავნა რკინის გზის ყველა სადგურზედ (ზაფხულში გემითაც) კომპანიის ხარჯით შეიძლება.

ფოსტით გაგზავნის ხარჯსაც სასახევროდ კამპანია კისრულობს.

კვირაობით მაღაზია დაკეტილია, სხვა დღეებში-კი ღიაა დილის $8\frac{1}{2}$ საათიდგან საღამოს 9 საათამდე.

შეიძლება მოითხოვოთ დასურათებული კატალოგები.

ნაღდად მყიდველთ ახალი პრეისკურანტები ეგზავნებათ მოთხოვნილებისამებრ. (10—434—2)

---

*) იხ. 19 № ამ გაზეთისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 5 Октября 1902 г. Типографія «Гутанбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.